



# გავფვი და სამართალი Child and Law (in Georgian)

© გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP), 2011  
Copyright © UNDP, 2011

ყველა უფლება დაცულია  
დამზადებულია საქართველოში  
All Rights Reserved  
Manufactured in Georgia

გამოცემა მომზადებულია პროექტის “სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლო. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაერთიანებული ერების ან გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme Georgia (UNDP) and Supreme court of Georgia within the frame of the project “Support to Justice System”.  
The views expressed in this publication are those of the authors and don't necessarily represent those of the United Nations or UNDP.



# გავშვი და სამართალი

თბილისი 2011

## **ავტორი**

ინგა ალავიძე

### **Author**

Inga Alavidze

## **წიგნზე მუშაობდნენ**

თამარ კაციტაძე, ხათუნა ჯანგირაშვილი, თენგიზ ქირია, ვახტანგ შატაიძე, მარინა ჯანგირაშვილი, ოლგა ფანჩულიძე, გულიკო ორთოიძე

### **The book is prepared by**

Tamar Katsitadze , Khatuna Jangirashvili, Tengiz Kiria, Vakhtang Shataidze, Marina Jangirashvili, Olgha Panchulidze, Guliko Ortoidze,

## **რედაქტორთა საბჭო**

ინგა ალავიძე, ნანა ვასაძე, თეა კასრაძე, ვლადიმერ მკერვალიშვილი

### **Editorial Board**

Inga Alavidze, Nana Vasadze, Tea Kasradze, Vladimer Mkervalishvili

## **ექსპერტები**

ზაზა მეიშვილი

მარინე კვაჭაძე

### **Experts**

Zaza Meishvili

Marine Kvachadze

## **მხატვარი**

ანუკა უტურგაიძე

### **Illustrations**

Anuka Uturgaidze

## **ფოტო**

ბესო გულაშვილი, დათო ხიზანიშვილი, კახა ფხაკაძე

### **Photo**

Beso Gulashvili, David Khizanishvili, Kakha Pkhakadze





## ჩემო პატარა მეგობრებო,

ეს წიგნი სასამართლოს მხრიდან პირველი მცდელობაა თქვენამდე მოგვეტანა ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ, გახდეთ ღირსეული მოქალაქეები, დაიცვათ როგორც საკუთარი, ასევე სხვა ადამიანთა უფლებები. ჩვენ შევეცადეთ მარტივად, თქვენთვის გასაგები ენით აგვეხსნა სასამართლოსთან, კანონმდებლობასთან, ზოგადად, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს წიგნი თქვენთვის. ბავშვები არ არიან “პატარა ადამიანები პატარა უფლებებით” და არასრულწლოვნებმაც, ისევე, როგორც ზრდასრულმა ადამიანებმა, უნდა იცოდნენ და დაიცვან კანონი.

უნდა იცოდეთ, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლოს გარეშე, საზოგადოება, რომლის წარმომადგენლებიც თქვენ ხართ, ვერ განვითარდება.

სასამართლო ის მყარი ბაზისია, რომელზეც ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს, ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ თქვენთვის და თქვენთან ერთად.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე  
კონსტანტინე კუბლაშვილი**



# ქართული სამართლის ისტორია



იმისთვის, რომ კარგად გაიაზროთ რა არის სამართალი და მართლმსაჯულება, შემოგთავაზებთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს. მოგიყვებით, პირველყოფილი თემური წყობილებიდან დაწყებული, როგორ ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას და როგორ ვითარდებოდა იგი ეტაპობრივად. თქვენთვის საინტერესოა იმის ცოდნა, რომ სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა სტადიაზე თავისებურად ვითარდებოდა. ისტორიული წყაროები გვეუბნება, რომ მართლმსაჯულების განმსაზღვრელი ორგანო - სასამართლო, დღევანდელი სასამართლოსგან განსხვავებული მოდელით, უძველესი დროიდან არსებობდა.

მოსამართლის ფუნქციას ასრულებდნენ საზოგადოების უზუტესი წევრები, რომლებსაც ამ უფლებამოსილებას თავად საზოგადოება ანიჭებდა - მოსამართლედ ირჩევდნენ მათთვის სამაგალითო და ავტორიტეტულ პიროვნებას.

ისტორიული წყაროები გადმოგვცემს, რომ მოსამართლის, სამართლის, სასჯელის ცნება სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდა.

განვითარების ადრეულ, პრიმიტიულ საფეხურზე სასამართლოს, მართლმსაჯულების როლს ასრულებდა სახალხო კრება, რომლის ძირითადი ამოცანა იყო მოდავე მხარეები შეერიგებინა, დაევაღდებულეებინა ისინი, მიემართათ შუაკაცთა სასამართლოსთვის, რათა თვითნებობა და პირადი ანგარიშსწორება არ მომხდარიყო. მხარეები ფიცს დებდნენ, რომ დაემორჩილებოდნენ შუაკაცთა გადანყვეტილებასა და განაჩენს.

პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში არჩეული ჰყავდათ გვარის ხელმძღვანელები - საზოგადოებრივი თანამდებობის პირები, რომ-

ლებიც თავდაპირველად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას. განვითარების ამ ისტორიულ საფეხურზე მხოლოდ მამასახლისს არ შეეძლო დამნაშავეთა დასჯა. მათ დამნაშავეები უნდა წარედგინათ სახალხო კრების წინაშე - “საზოგადოსა ერისა შეკრებილებასა შინა”.

განვითარების შემდეგ საფეხურზე მამასახლისები ირჩევდნენ მსაჯულებს, რომელთაც ბჭეებს ეძახდნენ. მათი შერჩევა ხდებოდა გამოცდილი, მოხუცებული, ჭკვიანი და პატიოსანი ადამიანებისაგან, “უქრთამო და პირ-უთნებელთა კაცთაგან”. მხარეები საქმის გარჩევამდე იფიცებდნენ და პატიოსან სიტყვას დებდნენ, რომ დაემორჩილებოდნენ ბჭეთა გადანყვეტილებას.


ადრეფეოდალურ საქართველოში “ბჭე” და “მსაჯული” მოსამართლეს ნიშნავდა. თუმცა, ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, მოსამართლეს ამ ტერმინებით ანტიკურ ხანაშიც მოიხსენიებდნენ.



გიორგი ბრწყინვალე\*

\* ნახატი შესრულებულია გიორგი გეგეჭკორის მიერ.

შუასაუკუნეებში ძალზე მნიშვნელოვან საქმეებს იხილავდა მეფე. მეფის კომპეტენციაში შედიოდა ისეთი საქმეების გარჩევა, როგორც იყო მაგალითად, სიგელის წართმევა, მეფის სალაროს გატეხვა, ან მე-



სასისხლო სიგელი კონსტანტინე და ბავრატ მეფეებისა არჯევან ავშანდაძისადმი; დამწერი - დავით მთავარებისკოპოსი.

ეს სიგელი უწესებს ვინმე არჯევან ავშანდაძეს სისხლის ფასს - 200 ათას ვერცხლს და ტყისმცველის თანამდებობას სკანდის მიდამოებში. 1466-1678 წწ. საბუთს ხელს ურთავენ ბავრატ მეფე და ელენე დედოფალი.

ფეთა ორგულობა. საჭიროების შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი საქმეების გასარჩევად მეფე დარბაზსაც მოიწვევდა ხოლმე. ხდებოდა ისეც, რომ მსხვილი საქმის გარჩევას მეფე რომელიმე ბატონიშვილს მიანდობდა. თუმცა, მეფესთან ნებისმიერი განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეფე მხარედ გამოდიოდა სასამართლოში, საქმე დარბაზს უნდა გაერჩია.


1748 წელს, ერეკლე II-ის მეფობის დროს, სასამართლოს რეორგანიზაცია მოხდა და ჩამოყალიბდა მდივანბეგთა სასამართლო. განცხადებანი სასამართლო საქმეების შესახებ მდივანბეგთა სასამართლოში უნდა შესულიყო. ვახტანგ VI-ის სასამართლის წიგნი გვეუბნება: “მდივანბეგი თავი მოსამართლე არის.”

1778 წლის დასაწყისში მეფე ერეკლე II-ის სპეციალური ბრძანებით დაარსდა “მსაჯულთშეკრებულების დანესებულება”. მაგალითად, ქართლის სამეფოს ჰყავდა თავისი მსაჯულთუხუცესი ანუ მდივანბეგი. ისტორიული წყაროების მიხედვით, მას “საქართველოს მოსამართლე”, “ქართლის მსაჯული”, ან “ქართლის მდივანბეგი” ეწოდებოდა. მდივანბეგთა სასამართლო მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განხილვის შესახებ, რომელიც მდივანბეგს უნდა გაერჩია, მეფეს მოახსენებდნენ. მდივანბეგთა სასამართლო მოქმედებდა იმერეთის სამეფოში, გურიასა და სამეგრელოში.

საქართველოს მართლმსაჯულების განვითარებაში რელიგიის როლიც ძალზე დიდია. საერო სასამართლოებთან ერთად არსებობდა საეკლესიო სასამართლოებიც, რომლებიც განიხილავდნენ ძირითადად საოჯახო და საქორწინო საკითხებს, აწესრიგებდნენ გვარებს შორის კონფლიქტს, აგრეთვე საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა სასულიერო პირების დანაშაულთა ან გადაცდომათა გამო დასჯა და ა. შ. მაღალი რანგის სასულიერო პირები მონაწილეობდნენ როგორც სამართალშემოქმედებაში, ასევე მართლმსაჯულებაში.

1867 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ განხორციელებული ცნობილი სასამართლო რეფორმა საქართველოსაც შეეხო. რეფორმის საფუძველზე შეიქმნა ახალი მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით, საქალაქო სასამართლოები და სასამართლო პალატა.

მომრიგებელი განყოფილება ითვლებოდა ყველაზე დაბალი საფეხურის სასამართლოდ და იგი ჩამოყალიბდა ყველა მაზრაში. უფრო მაღალი სასამართლო ინსტანციები გახლდათ სამხარეო სასამართლოები, სასამართლო პალატა და ითვლებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უმაღლეს სასამართლო ორგანოდ. სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხოლოდ პეტერბურგის სენატში შეიძლებოდა.



# საუკუნეების წინათ “დაწესებულნი სამართალი”

განაჩენი გიორგი სააკაძისა და  
ქაიხოსრო ჯავახიშვილის  
საქმის გამო

დიდი მოურავის - გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სადავო სარჩელის განხილვაში მონაწილეობდნენ “ბჭენი და მოსამართლენი”.

მდივანბეგი - ბეჟანი

მსაჯულები - გიორგი ბარათაშვილი და მეღვინეთუხუცესი ლაზნელიძე.

გიორგი სააკაძის სარჩელით, დიდი მოურავი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი უნდა დამოყვრებულიყვნენ, მაგრამ ეს განზრახვა ჩაშლილა. გიორგი სააკაძე თვლის, რომ ქაიხოსრომ მას “ქალი სთხოვა”, მაგრამ სიტყვა გატეხა. ამასთან, სააკაძემ ჯავახიშვილის მიმართ “ისარჩლა”, - ბატონ თეიმურაზთან ჩემი ხუთი მსახური და აზნაურისშვილი დააბეზლაო. ჯავახიშვილი ამას უარყოფდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯავახიშვილს უნდა წარმოედგინა ექვსი “შესახელებული” მსახური, რომლებიც დაიფიცებდნენ, რომ ჯავახიშვილი არ იყო ამ საქმეში გარეული. ჯავახიშვილს კი საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად თავისი უფროსი შვილი უნდა დაეფიცა. “თუ დაიფიცეს, არა ზედა-აც. თუ ვერ დაიფიცეს, ასი მარჩილი თარჯიმანად მიართის”, - ბრძანა მოსამართლემ.

სამი თვის შემდეგ გიორგი სააკაძე და ჯავახიშ-



ვილი შერიგდნენ და “გადაწყვეტილების წიგნიც” დაინერა.

1620 წელი 15 აპრილი

**ერეკლე II-ის გადაწყვეტილება  
ობოლი ბავშვის მსახურად  
ნაეყვანის თაობაზე**

ერეკლე II-ს საჩივრით მიმართა მამუკა გუგულამვილის ქვრივმა. თავის არზაში ქვრივი ჩიოდა, რომ მუხრანბატონის აზნაურიშვილს უკანონოდ, მსახურად ნაეყვანა მისი ათი წლის შვილი.


მეფემ საჩივარი განიხილა და გადაწყვეტილება ქვრივის სასარგებლოდ მიიღო. მან სახლ-თუხუცეს იოვანე მუხრანბატონს უბრძანა, აზნაურიშვილს ობოლი ბავშვი დედისთვის დაებრუნებინა, რადგან ჯერ მხოლოდ “ყმანვილი” იყო:

“რადგან ყმანვილი ყოფილა ისევ თავის დედას მოსცეს თავისი შვილი იმ შენმა აზნაურიშვილმა. გაიზარდოს და ისე იმსახუროს, უნდა დააცალოს მანამდისინ თხუთმეტი, თექვსმეტი წლის შეიქმნას”.

ერეკლე II-ს ქვრივმა არზა 1785 წლის 27 იანვარს გაუგზავნა. მეფემ განაჩენი მეორე დღესვე, 28 იანვარს გამოიტანა.

## განაჩენი უკანონოდშობილის მემკვიდრეობის საქმეზე

სტეფანე ბილანიშვილს მამულს ედავებოდნენ თევდორე დარჩაშვილის ქვრივი ანა და მისი შვილი გოგია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სტეფანე და თევდორე ერთი მამის შვილები - ძმები იყვნენ, ამიტომ ბილანიშვილების მამული ძმებს შორის უნდა გაყოფილიყო და თევდორეს ცოლ-შვილს მამულიდან წილი მიეღო: “იმათი სახლიკაცი ვართ და მამულში წილს არ გვიდებსო.” 1798 წლის 22 მაისს დარჩაშვილების საჩივარი სასამართლოში გაიჩნა. მსაჯულებმა სარჩელი მოისმინეს, ზედმინევნით გამოიძიეს და დაადგინეს, რომ თევდორე უკანონოდშობილი იყო - “ცოდვის შვილი აღმოჩნდა.” ასეთ შემთხვევაში, ვახტანგ VI-ის კანონის 110-ე მუხლი ითვალისწინებს: უკანონოდშობილის “წილი არ არის მამულში. თუ თავის ძმებს ეყობა, ძმებთან ერთის ყმის ალაგს უნდა არჩნონ. და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქვს. მამას თუ ან ბუშისთვინ და ან მართლის შვილისთვინ სიცოცხლეში მიუცია რამე, ის არ ჩაითვლებს, იმისი ვისთვინაც მიუცემია.” სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 110-ე მუხლის სა-



ფუძველზე: თევდორეს ცოლ-შვილი სტეფანეს მამულში ვერ შეეცილება და წილს ვერ მიიღებს, მაგრამ “თუ ეს გოგია თავის თავს ყმად მისცემს, სტეფანემ მამული უნდა მისცეს და ყმად დაისახლოს. და თუ ყმად არ დაუსახლდება, მამულში სახლიკაცობით წილი არ დაეღება სამართლის ძალით.”

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს იასაულეებმა - გოგია ფოცხვერაშვილმა და იოსებ ბოსტალანაშვილმა.

## განაჩენი ნაპოვნი ნივთის გაყიდვის საქმეზე

სახლთუხუცესს ლევანის მხევალს თავისი ბატონის საყურეები მიჰქონდა. გზაში საყურე დაუვარდა და დაკარგა. სამკაული ერთმა ღარიბმა კაცმა იპოვა და ოქრომჭედელ პაპას იაფად მიჰყიდა. ნივთის პატრონმა სასამართლოში განაცხადა დანაკარგის შესახებ. სამკაული ოქრომჭედლებში მოიკითხეს. პაპა ოქრომჭე-

დელმა სასამართლოს დაუმალა საყურის ყიდვის შესახებ, მაგრამ სიმართლე მაინც გაირკვა და მას, როგორც ქურდს, ისე დააკისრეს სასჯელი.

პაპას მიუსაჯეს საყურეების საზღაური ოცი თუმანი. ამ ოცი თუმნიდან რვა თუმანი აპატიეს. დარჩენილი თორმეტი თუმნიდან ხუთი მპოვნელს დააკისრეს - “იმიტომ რომე, რატომ არ დაიძახა - ვისი არისო?!”

სახლთუხუცესი - სასახლის გამგებელი 1703-1714 წწ.


### განაჩენი ორბელიანების ყმის ზურაბ ტერტერაშვილის ქვრივის საქმეზე

სტამბოლიდან, ტყვეობიდან დაბრუნებული ზურაბ ტერტერაშვილი ორბელიანებს ეყმო, რადგან - “მოსული ტყვე თავისუფალია, ვისაც უნდა ეყმობა”.

ზურაბის გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა ორბელიანებს უჩივლა, ქმრის კუთვნილ სარჩოს არ მაძლევნო. სასამართლომ საქმის გარჩევის შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება - “ზურაბის ქვრივს ის სარჩო უნდა მისცენ, რომელიც მართებულია”.

ერეკლე II ამტკიცებს სასამართლო გადაწყვეტილებას და უბრძანებს იასაულ გლახა ციციშვილს, განაჩენი სისრულეში მოიყვანოს.

1765წ. 23 აპრილი



# დანაშაულის და სასჯელის ისტორიის საქართველოში



**კვლად საქართველოში ტერმინები - დანაშაული და სასჯელი, დღევანდელი მნიშვნელობით არ არსებობდა. ჯერ კიდევ აღრეფომდალურ ხანაში დანაშაულის მნიშვნელობით იხმარებოდა სიტყვა “პრალი”. თუმცა, ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნში ტერმინები “დანაშაული” და “დამნაშავე” უკვე დამოკიდრეპულია. მოგვინანებით გარნდა ტერმინი “სისხლიც”, რაც სასჯელს ნიშნავდა.**

ცალკეული სასჯელები, რომელსაც ფეოდალურ საქართველოში იყენებდნენ, არის “გემა” “ღვედით მიმთხვევა”, “ტაჯგანაგის (მათრახის) კვრა”, “ციხეში შიგან პატიმარ ყოფა”, “ციხესა და საპყრობილესა შიგან შეყენება”, “ექსორია და გაძევა”, “ასოთა მიღება და განპატიჟება”, “სიბრმავითა დასჯა”, “სიკვდილად დასჯა”, “ძელსა ზედა ჩამორჩობა” და ა.შ.

შუა საუკუნეების გვიან პერიოდში საქართველოში არსებობდა დასჯის იარაღი “ხაჯალური” - სპეციალური კონსტრუქციის ჯაჭვი, რომელიც გამოიყენებოდა ადამიანის დასასჯელად სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში.

თითქმის ამავე სახელწოდების იარაღი - “ხაჯალურა” გამოიყენებოდა იმერეთშიც, თუმცა, ეს იყო გარკვეული ფორმის კისერზე შესაბმელი ხის იარაღი (უღელი).

ქართული სამართლის ნიგნის მიხედვით, “სისხლის” ანუ სასჯელის საფასური დამოკიდებული იყო ადამიანის წოდებრივ და სამსახურებრივ

მდგომარეობაზე. ბექა მანდატურთუხუცესის “სამართლის ნიგნის” მიხედვით, დიდი აზნაურის “სისხლი” (სასჯელი) შეფასებული იყო ორმოც ათას თეთრად, საშუალო აზნაურისა 20 ათასად, “ქვედაერისა” კი 12 ათას თეთრად.

ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით, საქართველოში ქურდებს და ავაზაკებს ნაქურდი-ნაძარცვის “შვიდეულად” - შვიდმაგად გადახდა ეკისერებოდათ, მაგრამ დანაშაულის სამჯერ გამეორების შემთხვევაში, დამნაშავეს ხშირად ხელს კვეთდნენ.

XI - XII და ნაწილობრივ XIII საუკუნეებში (მონღოლების შემოსევამდე), საქართველოს აღმავლობის პერიოდში, შემოვიდა სასჯელთა ახალი სახეები.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპასა და აზიის სახელმწიფოებში ამ პერიოდში სიკვდილით დასჯა ნორმალურად ითვლებოდა, მემატინეთა ცნობით, თამარის მეფობის პერიოდში, საქართველოში არც “დამასახიჩრებელი” სასჯელით,


არც “მათრახის ცემით”, მით უფრო სიკვდილით არავინ დასჯილა. ისტორიკოსების გადმოცემით, ამ პერიოდში მხოლოდ ერთი ადამიანი - გუზან ტაოსვარელი დასაჯეს დაბრმავებით, ისიც თამარის ნებართვის გარეშე - ბრძანება დავით სოსლანმა გასცა. ბასილ ეზოსმოძღვარის ცნობით, თამარის დროს მკვლევლებსაც კი სიკვდილით არ სჯიდნენ. გადმოცემის თანახმად, გამოუსწორებელ დამნაშავეებს თამარის მეფობის პერიოდში ბიზანტიას გადასცემდნენ, სადაც მათ საზღვრების დასაცავად ან ყივჩაყების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. როგორც იმ პერიოდის მემკვიდრეები ირწმუნებიან, ჰუმანური სადამსჯელო სისტემის მიუხედავად, ქვეყანაში დანაშაული თითქმის აღარ ხდებოდა.

ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დამნაშავეების დასჯის ასეთ ფორმებს მიმართავდნენ - ხელის მოკვეთა, ფეხის მოჭრა, თვალების ამოწვა, გამოსაჭურისება და ა.შ.

მოლაღატე რაჭის ერისთავი მეფემ ერთდროულად დაბრმავებით და ფეხის მოჭრით დასაჯა. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დროს კი, სიკვდილით სჯიდნენ ტყვეების გამყიდველებს - “დანავადნენ გროვა შეშაზე”.

გარდა ფიზიკური დაზიანებებისა, საქართველოში იცნობდნენ “გამწიბლებელ სასჯელებს” - ვირზე შესმა, თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა,

გატიტვლება, ყელზე თოკმობმული დამნაშავეის ქუჩა-ქუჩა ტარება, “თავზე ნაცრის დაყრა” და ა.შ.



# თანამედროვე ქართული სასამართლო



სამართლოს უახლეს ისტორიაში, კერძოდ,  
1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო  
კონსტიტუცია, რომლის მე-5 თავიც სასამართლო  
ხელისუფლებას მიეძღვნა.



ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული სასამართლო რეფორმის საფუძველზე ჩამოყალიბდა გამართული და კარგად ორგანიზებული, თანამედროვე ტიპის სასამართლო სისტემა.

უნდა იცოდეთ, რომ მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, რაც

ნიშნავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვა-გადაწყვეტას. ე.ი. დანაშაულის სასამართლო წესით დადგენას და სამართალდამრღვევების მიმართ სახელმწიფოს მიერ ღონისძიებების გატარებას.

საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში, გარდა სასამართლოსი, არავის აქვს უფლება, განიხილოს და გადაწყვიტოს სადავო საკითხები. სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, სასჯელი დაუნიშნოს დამნაშავეს.

## ○ საქმის სასამართლო განხილვა

სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე, საჯაროდ. სასამართლოში საქმის დახურულად



განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში და მიზნად ისახავს სახელმწიფოს ან პიროვნების ისეთი საიდუმლოების დაცვას, რომლის გამჟღავნებაც ზიანს მოუტანს სახელმწიფოს ან კონკრეტულ პიროვნებას. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილება, ნებისმიერ შემთხვევაში, საჯაროდ ცხადდება.

## ○ დამოუკიდებლობის ბარანტიები

მართლმსაჯულებას ახორციელებს მოსამართლე. მოსამართლე თავისი საქმიანობისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს, თუ კერძო პირს არ აქვს უფლება, რაიმე ფორმით ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში და რაიმე მოსთხოვოს ან მიუთითოს მოსამართლეს. მოსამართლეზე ზემოქმედება ან ჩარევა მის საქმიანობაში, ისჯება კანონით.

სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

## ○ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე”. ანუ, სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და გარანტიები. საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირი თანასწორია კანონის წინაშე.

## ○ სამართალწარმოების ენა

სასამართლო პროცესები ტარდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ენიშნება თარჯიმანი.

კონსტიტუციის თანახმად, ის რაიონები, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლის უფასო პროგრამებით.




## ○ ინსტანციურობა

ბოლო წლებში სასამართლოში გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა. შეიქმნა პირველი ინსტანციის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, მეორე ინსტანციის - სააპელაციო და მესამე ინსტანციის - საკასაციო სასამართლო, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საქართველოში იქმნება მაგისტრატი სასამართლოები, რათა მართლმსაჯულება უფ-

რო ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის.

საერთო სასამართლოების პირველ რგოლს წარმოადგენენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. მათ შემადგენლობაში შედის ასევე მაგისტრატი სასამართლოები. **პირველი ინსტანციის სასამართლოები** არსებითად განიხილავენ საქმეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება. პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლება დარღვეულია, შეუძლია მიმართოს პირველი ინსტანციის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს და მო-



ითხოვოს უფლებების დაცვა. პირველ ინსტანციაში საქმეები განიხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, ანუ, ერთ კონკრეტულ საქმეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განიხილავს მხოლოდ ერთი მოსამართლე.

**სააპელაციო** სასამართლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი ძირითადი რგოლია და ინსტანციურობის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა, რის გამოც, მას მეორე ინსტანციის სასამართლო ეწოდება.


საქართველოში სულ ორი სააპელაციო სასამართლოა: თბილისის და ქუთაისის. სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხა-

რეს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოში. სიტყვა აპელაცია (ლათ. აპელაციო - მიმართვა) - სასამართლოსადმი მიმართვას გულისხმობს.

**საქართველოს უზენაესი სასამართლო** მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი და საბოლოო ინსტანციაა. იგი განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სიტყვა კასაცია (ლათ. cassatio - გაუქმება) - გულისხმობს სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გადასინჯვას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.





## ○ უდანაშაულობის პრეზუმფცია

ადამიანს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფცია. უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოს განჩინით. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოცხადდეს დამნაშავედ, თუ მისი ბრალეულობა დადასტურებულია სასამართლოს მიერ. ამის ცოდნა დაგეხმარებათ დაიცვათ საკუთარი უფლებები და პატივი სცეთ სხვა ადამიანთა უფლებებსაც.

## ○ მოსამართლე

უკვე გითხარით, რომ საქართველოში მართლმსაჯულებას მოსამართლე განახორციელებს. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს, თუ მას სურს მოსამართლედ დაინიშნოს. მოსამართლე შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე (სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში მოსამართლედ ვერ იმუშავებს) 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის, სულ ცოტა, 5 წლის გამოცდილება.


გარდა ამისა, მოსამართლეობის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სპეციალური გამოცდა, სადაც მონაწილეობს მისი განათლება. მოსამართლეობის მსურველს ასევე წარმატებით უნდა ჰქონდეს დამთავრებული იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

მოსამართლე ახორციელებს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობას - არკვევს, ადამიანი დამნაშავეა თუ უდანაშაულო. კანონისა და საკუთარი რწმენის საფუძველზე წყვეტს, რა სახის სასჯელი შეუფარდოს დამნაშავეს. მოსამართლე კანონის წინაშე ვალდებულია, არ დაუშვას უდანაშაულო პირის დასჯა.

თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე, რომელსაც პირველად ნიშნავენ ამ

თანამდებობაზე, საზეიმო ვითარებაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე დებს ფიცს, რომლის ერთგულიც უნდა იყოს მთელი სამოსამართლო საქმიანობის განმავლობაში.


მოსამართლეობა მთელ მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, პრესტიჟული თანამდებობაა, რომელიც დაკავშირებულია დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთან. მოსამართლეს უწევს ადამიანის ბედის განსაზღვრა და ამიტომ, მან უნდა გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება.



## ○ სასამართლოს ატრიბუტიკა

მართლმსაჯულებას აქვს თავისი სიმბოლო - **თემიდა**. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მოსამართლეს თვალეზახვეული თემიდის (თემიდოს) სახით გამოსახავენ. მას ცალ ხელში უჭირავს სასწორი, ხოლო მეორეში - მახვილი. მართლმსაჯულების ეს სიმბოლო მთელ მსოფლიოში ერთნაირად იზიფრება - “თანაბარი მართლმსაჯულება ყველასთვის კანონის შესაბამისად”. ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთს, სამართლიანობის ნიშნად, თვალეზი რიდით აქვს ახვეული. თითქმის ყველა სასამართლოს შენობას სიმბოლურად ამშვენებს თემიდას გამოსახულება.

მართლმსაჯულება აღესრულება სასამართლოში, კონკრეტულად კი, **სხდომათა დარბაზში**, რომელიც გარკვეული წესით არის დაყოფილი - დარბაზიდან მარცხნივ ბრალმდებელი, ანუ პროკურორი ზის, ხოლო მარჯვნივ, განსასჯელთან ახლოს - ადვოკატი. მხარეებს შორის, შემადლებულ ადგილას, იერარქიული უპირატესობის ნიშნად, დგას მოსამართლის მაგიდა. მაგიდაზე მართლმსაჯულების ერთ-ერთი სიმბოლო - **ჩაქუჩი** დევს.



ჩაქუჩი უძველესი დროიდან უმაღლესი საერო პირის - მეფის ბრძანების აღსრულების სიმბოლოდ გამოიყენებოდა. დღეს კი ეს ატრიბუტი მოსამართლის სიძლიერისა და განაჩენის აღსრულების სიმბოლოა.



თანამედროვე ქართული სასამართლო

გარდა ჩაქუჩისა, მოსამართლის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია **მანტია**. მანტიით შემოსილი მოსამართლის მიერ პროცესის ჩატარება სასამართლო ხელისუფლების ღირსების ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა, რომელიც იმავდროულად მიუთითებს მოსამართლისა და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს შორის გარკვეული დისტანციის არსებობაზე.

ძველ რომში მანტიას ძირითადად მსაჯულები და საეკლესიო პირები იყენებდნენ. მისი არსი იმაში გამოიხატებოდა, რომ უმკლავებო, მინამდევ დაშვებულ მოსასხამს მთლიანად უნდა დაეფარა პიროვნების შინაგანი განცდები კონკრეტული ფაქტისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების აღსრულებისას მანტია უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, საბჭოთა პერიოდში ამ ატრიბუტიკამ ფუნქცია დაკარგა. მოსამართლეები სამოქალაქო ფორმით ატარებდნენ პროცესებს. მეოცე საუკუნის მინურულს, 1998 წლის 7 აგვისტოს, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, “მოსამართლეთა განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის დამტკიცების შესახებ” და მას შემდეგ საქართველოში მოსამართლე მანტიამოსხმული გამოდის სასამართლო დარბაზში.

საქართველოში სხვადასხვა ინსტანციების მოსამართლეები სხვადასხვა ფერის მანტიებით არიან შემოსილი.

პირველი ინსტანციის, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე შინდისფე-





ტიით მხოლოდ მოსამართლეები იმოსებიან. უცხოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, პროცესის მონაწილე მხარეებისთვის სპეციალური ფორმა ჯერჯერობით არ არსებობს.

რი მანტიით არის შემოსილი.

მეორე, ანუ სააპელაციო ინსტანციაში საქმეს სამი მოსამართლე განიხილავს, რომლებიც მწვანე ფერის მანტიით არიან შემოსილები.

საკასაციო, ანუ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები შავი ფერის მანტიით გამოირჩევიან.

საქართველოში სასამართლო პროცესზე მან-



## ○ სასამართლო პროცესის მონაწილეები

სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო სხდომები მხარეების მონაწილეობით მიმდინარეობს. სამოქალაქო საქმეების განხილვისას ძირითად მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე. გარდა ამისა, სასამართლო პროცესის მონაწილეები არიან: სხდომის მდივანი, წარმომადგენელი, ადვოკატი. საჭიროების შემთხვევაში - ექსპერტი, თარჯიმანი, მონმე, სპეციალისტი და ა.შ.

სამოქალაქო საქმეების განხილვისას, მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. ფიზიკური პირები არიან ისინი, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ხოლო იურიდიულ პირს წარმოადგენს ფიზიკური პირებისგან შემდგარი ერთობლიობა, რომელიც იურიდიული პირის სახელით, კანონით გათვალისწინებული წესით, სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში არის რეგისტრირებული.

მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ იმ ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად დაედება საქმის მათ სა-

სარგებლოდ გადაწყვეტას.

იმისთვის, რომ პროცესის მონაწილე ფიზიკურმა პირმა დამოუკიდებლად განახორციელოს სასამართლოში თავისი უფლებები და მოვალეობები, უნდა იყოს 18 წლის. ხოლო 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები.

სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას პროცესის მონაწილენი არიან: გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული და ა.შ.





**გამომკიებელი** - არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც მომხდარ დანაშაულს იძიებს.



**ბრალდებული** - პირი, რომლის მიმართაც, კანონით დადგენილი წესისა და დანაშაულში მისი მამხილებელი მტკიცებულებების არსებობის საფუძველზე, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

**მსჯავრდებული** - პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.



**დაზარალებული** - პირი, რომელმაც დანაშაულის მომზადების, მცდელობის ან დანაშაულის ჩადენის შედეგად მიიღო ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი.



**პროკურორი** - პირი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სამივე ინსტანციის სასამართლოში და თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმძებელი. პროკურორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. პროკურორი საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.



**ადვოკატი** - პირი, რომელიც სასამართლოში მხარის უფლებების დაცვას ახორციელებს. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და განეწიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ადვოკატი, ძველქართულად იგივე “მეოხი”, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის ინტერესების დამცველია. ბრალდებულს უფლება აქვს, აიყვანოს დამცველი. თუ ის ამას ვერ შეძლებს, მატერიალური მდგომარეობის გამო, მაშინ სასამართლო ვალდებულია, თვითონ დაუნიშნოს

დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე.

ადვოკატს უფლება აქვს, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები ყველა ინსტანციის სასამართლოში და საგამოძიებო ორგანოებში. ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები. ადვოკატს ასევე აქვს უფლება, დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა და ა.შ.


## მტკიცებულება

მტკიცებულებაა კანონით გათვალისწინებული წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზეც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენენ, ჩაიდინა თუ არა დანაშაული პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, ასევე

ადგენენ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს. მტკიცებულებები: ეჭვმიტანილის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება, განსასჯელის ჩვენება, დაზარალებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებანი და სხვა დოკუმენტები.



# სისხლის სამართლის სასამართლო პროცესი



# სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პროცესი



## ○ სასამართლოში ქცევის წესები

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სასამართლოს პატივისცემა და მისი პრესტიჟის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის. სასამართლოში წესრიგის დაცვის სპეციალური წესები არსებობს. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის დარ-



ბაზში - სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე.

სასამართლო პროცესზე დამსწრე პირებმა უნდა გამორთონ მობილური ტელეფონები. პროცესზე დამსწრეები ვალდებული არიან, დაიცვან სიჩუმე და დაემორჩილონ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს, ასევე შეასრულონ მანდატურის მითითებები.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია დააჯარიმოს ან სხდომის დარბაზიდან გააძევოს პირი.

მართლმსაჯულებას ყველამ უნდა სცეს პატივი, რადგან სასამართლო პროცესი არ არის შოუ და მასზე ხშირად, მხარეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ხდება.

სასამართლოს შენობაში მშვიდად და განონასწორებულად უნდა მოიქცეთ. სასამართლოს სხდომათა დარბაზში დაუშვებელია სირბილი, აქეთ-იქით სიარული, ხმამაღალი საუბარი, კამათი, ზოგადად, ხმაური. პროცესის მიმდინარეობის დროს უნდა დაიცვათ განსაკუთრებული სიჩუმე, რადგან მოსამართლეს და პროცესის სხვა მონაწილეებს ხელი არ შეეშალოთ.

პროცესზე დამსწრეები ფეხზე უნდა წამოდგნენ, როდესაც მოსამართლე დარბაზში შემოდის და განაჩენი ცხადდება.

## ○ მანდატური



2006 წლიდან ქართულ სასამართლოებში სპეციალურ ფორმაში გამონყობილი პირები გამოჩნდნენ, რომლებიც პროცესის მიმდინარეობის დროს დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ. სასამართლოს შენობაში მყოფ სპეციალურ ფორმაში გამონყობილ პირს მანდატური ეწოდება და ის მოსამართლის ბრძანებას ემორჩილება. სწორედ მანდატურის სამსახურის დამსახურებაა, რომ სასამართლო პროცესები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და დაცულია პროცესის მონაწილე მხარეების უსაფრთხოება.

მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას.

## ○ სპიკერი მოსამართლე

ქართულ სასამართლო სისტემაში სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება დასავლეთის პრაქტიკას უკავშირდება.

სპიკერი მოსამართლე არის ჩვეულებრივი მოსამართლე, რომელსაც თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა, აქვს ვალდებულება, ჟურნა-

ლისტებს კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მარტივად და პოპულარულ, საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას. სპიკერ-მოსამართლის მეშვეობით სასამართლო საზოგადოებას თავის საქმიანობას აცნობს.



## კანონმდებლობა

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ კანონზე დაყრდნობით. კანონის ძალა და მისი უზენაესობა სასამართლოსთვის უპირველესია. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, სწორედ კანონიერი უნდა იყოს. მოსამართლეს არა აქვს უფლება, უარი თქვას ამა თუ იმ კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას არ მოსწონს ან არ ეთანხმება კანონის ნორმებს.

კანონს იღებს საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი. არსებობს ისეთი საკანონმდებლო აქტებიც, რომლებიც პარლამენტის მიერ არ არის მიღებული, მაგრამ მათი გათვალისწინება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებელია - ეს არის კანონქვემდებარე



საკუთარი უფლებები, ასევე პატივი სცეთ სხვების უფლებებს.

რე აქტები. ისინი გამოცემულია ამა თუ იმ კანონის საფუძველზე და მათზე დაყრდნობით.

ამგვარი კანონქვემდებარე აქტების გამოცემის უფლება აქვს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა შედგება კანონებისა და მათგან გამომდინარე აქტებისგან. ყველა კანონი და საკანონმდებლო აქტი კი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის მთავარ კანონს - კონსტიტუციას. თითოეულმა თქვენთაგანმა უნდა იცოდეს, თუ რა წერია თქვენი ქვეყნის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის ცოდნა კი დაგეხმარებათ დაიცვათ როგორც

# არასრულწლოვანი დამნაშავეები და კანონი



ის, რომ ადამიანი ასაკით  
პატარაა, არ ნიშნავს  
იმას, რომ იგი არ არის  
პასუხისმგებელი  
საკუთარ ნამოქმედარზე  
და კანონით არ  
დაისჯება.

არასრულწლოვნებმა (იგულისხმება 14-დან 18-წლამდე მოზარდი), ისევე, როგორც ზრდასრულმა ადამიანებმა, უნდა იცოდნენ და დაიცვან კანონი. ჩადენილი დანაშაულისთვის არასრულწლოვანს სასჯელი, ანუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან ეკისრება. არასრულწლოვანი დამნაშავისთვის არსებობს დასჯის ორი საშუალება: **პირველი - აღმზრდელოებითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება და მეორე - სასჯელის დანიშვნა.**



არასრულწლოვანი დამნაშავეები და კანონი

# მსუბუქი

**აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება** ნიშნავს, რომ 12-დან 18 წლამდე დამნაშავეს პირველად ჩადენილი მსუბუქი კანონდარღვევისთვის სასამართლომ შეიძლება დაუნიშნოს სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიება.

○ ○ ○  
პირველ რიგში, დამნაშავე არასრულწლოვანს განუმარტავენ, თუ რა დააშავა მან და რატომ სჯიან. ამასთან, გააფრთხილებენ, რომ დანაშაულის განმეორების შემთხვევაში, იგი უფრო მკაცრად დაისჯება.



არასრულწლოვანი დამნაშავეები და კანონი

# სანქცია



შემდეგი ღონისძიებაა არასრულწლოვანის საზედამხებდევლოდ გადაცემა - ეს ნიშნავს, რომ მშობელს ან სხვა რომელიმე სპეციალურ ორგანოს (სკოლას ან სხვა სახის სასწავლებელს) სასამართლო დაავალებს, დამნაშავე მოზარდზე ჰქონდეს განსაკუთრებული კონტროლი.



ზიანის ანაზღაურება - თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, რასაც რაიმე ქონების დაზიანება მოჰყვება, მის მშობელს დააკისრებენ ამ ზიანის ანაზღაურებას, ხოლო თუ არასრულწლოვანს დამოუკიდებელი შემოსავალი აქვს, მაშინ ზიანის ანაზღაურება პირადად მას დაეკისრება.



შეუზღუდავენ ქცევას - გულისხმობს, რომ დამნაშავე არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს ამა თუ იმ ადგილის მონახულება, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა (მაგალითად, სახლიდან არ გავიდეს საღამოს 6 საათის შემდეგ), სპეციალური სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლა, თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება.

# დაპირფარული



# სასჯელი

არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის განმეორების ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სანქციები კიდევ უფრო მძიმდება. ასეთ შემთხვევაში, მას შეიძლება დაენიშნოს:



**ჯარიმა** - ჯარიმა შეიძლება იყოს მინიმუმ 2 ათასი ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, 200 ლარზე ნაკლები. ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა განუსაზღვრელია.



**საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა** - რაც ნიშნავს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ რაიმე საქმიანობას (მაგალითად, ქუჩების დასუფთავება), რომელსაც სასამართლო დააკისრებს დამნაშავე არასრულწლოვანს.



**გამასწორებელი სამუშაო** - სასჯელის ეს სახე ჰგავს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, თუმცა განსხვავება არის ის, რომ არასრულწლოვანი თუ სადმე მუშაობს, გამასწორებელ სამუშაოს იქვე მოიხდის.



**თავისუფლების შეზღუდვა** - ამ შემთხვევაში არასრულწლოვან დამნაშავეს მოათავსებენ სპეციალურ ცენტრში, სადაც განხორციელდება მისი აღზრდისა და გამოსწორებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. მის ქცევაზე დაწესდება მკაცრი კონტროლი.

# დაკარგული

არასრულწლოვანს, რომელიც სჩადის დანაშაულს, უნდა ახსოვდეს, რომ კანონის დარღვევისთვის იგი კარგავს თავისუფლებას.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთა** - ეს არის ყველაზე მძიმე სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს. იგი გულისხმობს დამნაშავის რამდენიმე თვით ან რამდენიმე წლით ციხეში მოთავსებას.

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს და ამის მიხედვით ადგენს თავისუფლების აღკვეთის ვადებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 7 წელზე მეტი ხნით. 14-დან 16 წლამდე მოზარდს 10-ზე მეტი წლით, ხოლო 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადაა 15 წელი.



# თავისუფლება



# არასრულწლოვანთა

საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებსაც სპეციალური მომზადების კურსები აქვთ გავლილი და შესაბამისი სერტიფიკატებიც გააჩნიათ. არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სამართალდამცველებს და მოსამართლეებს დამატებითი განათლება უნდა ჰქონდეთ როგორც სამართლებრივ საკითხებში, ასევე ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და სხვა ისეთ დარგებში, რომლებიც დაეხმარებათ, სწორად განსაზღვრონ მოზარდის სულიერი მგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამასთან, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს და გაითვალისწინოს ის მიზეზებიც, რამაც მოზარდი დანაშაულამდე მიიყვანა. ამ ყველაფრის გათვალისწინება კი არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლეს დაეხმარება მოზარდი ბრალდებულისთვის სასჯელის განსაზღვრაში.

ამასთან, კანონით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, უნდა მოთავსდნენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

# სასამართლო



# არასრულწლოვანთა სასამართლოები ევროკავშირის ქვეყნებში



თქვენთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორ ისჯებიან არასრულწლოვანი დამნაშავეები ევროპის ქვეყნებში.

## გერმანია

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი აბსოლუტურად გამორიცხავს 14 წლამდე არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. 14-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ კი გამოიყენება არა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, არამედ არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონი, რომელშიც ჩამოთვლილია სანქციები და პროცედურები. გარდა

ამისა, ამავე კანონით, 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები სარგებლობენ უპასუხისმგებლობის პრეზუმფციით. თუმცა, თუ დამტკიცდება დამნაშავე მოზარდის მიერ საკუთარი ქმედებების გაცნობიერება, შესაძლებელი იქნება მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში არასრულწლოვანთა საქმეებს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლოები განიხილავენ. არსებობს სამი ტიპის სანქცია: აღმზრდელობითი ღონისძიებები, დისციპლინური ზომები და თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ექვს თვესა და ხუთ წელს შორის მერყეობს. იშვიათად, მაგრამ სასჯელმა შეიძლება 10 წელსაც მიაღწიოს.

გერმანიაში 16 წლამდე მოზარდების მიმართ თავისუფლების აღკვეთა თითქმის არასდროს გამოიყენება.




## ინგლისი და უელსი

1998 წლიდან ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წელი გახდა. 18 წლამდე ახალგაზრდა ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ უნდა იყოს გასამართლებული.

დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვნებსა და 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებს არ უნდა მიესაჯოთ წინასწარი პატიმრობა. 10-დან 17 წლამდე მოზარდების მიმართ, ძირითადად, აღმზრდელობითი და დისციპლინური სანქციები გამოიყენება.

არასრულწლოვანთა სასამართლო მოზარდს თავისუფლებას აღუკვეთს 6-დან 24 თვემდე.

თუმცა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა სასამართლო მიიჩნევს, შეიძლება საქმე სრულწლოვანთა სასამართლოში გადაიგზავნოს. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, 21 წლამდე ახალგაზრდა არასოდეს იგზავნება ციხეში. მათ ათავსებენ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დაწესებულებაში. ამასთან, როგორც წესი, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ მათ ათავისუფლებენ და ვადის გასვლამდე უწესებენ სოციალური სამსახურებისა და ნაციონალური პრობაციული სამსახურის მეთვალყურეობას.



## ს ა ზ რ ა ნ გ ე თ ი

საფრანგეთში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 13 წელია. კანონმდებლობით, არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამართლომ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო (შედარებით მსუბუქი სამართალდარღვევები), ან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო (მძიმე დანაშაული).

პრინციპია, რომ არასრულწლოვანის დაკავება არ შეიძლება. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დაშვებული არასრულწლოვანის დაკავება - მისი დაკითხვის მიზნით. დაკავების ხანგრძლივობამ კი არ უნდა გადააცილოს 12 საათს, დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გაფრთხილებული მშობლე-



ბი ან მეურვეები. დაკავების წუთიდანვე მოზარდს უფლება აქვს, გაესაუბროს თავის ადვოკატს.

13-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა, თუ დადასტურდება ამის აბსოლუტური აუცილებლობა. არასრულწლოვანთა მიმართ ძირითადად გამოიყენება აღმზრდელითი ხასიათის ღონისძიებები. მას შეიძლება დაევალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი სამუშაოები.

18 წლამდე ახალგაზრდებისთვის არსებობს სპეციალური დანესებულებები.

## შვეიცარია

შვეიცარიაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 7 წელია. არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმები. ამჟამად შვეიცარიაში მუშაობენ, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის ასაკი 10 წლამდე აიწიოს.

სისხლის სამართლის კოდექსი 7-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. 15 წლამდე მოზარდის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული.

15-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამო-

ყენებული სასჯელის ფორმებია მხოლოდ ჯარიმა და ერთი დღიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსის ჩვეულებრივი ნორმები გამოიყენება 18 წლის ზევით, თუმცა 25 წლამდე ახალგაზრდები, პენიტენციური დაწესებულების მაგივრად, შეიძლება მოთავსდნენ პროფესიული განვითარების დაწესებულებებში, სადაც ისინი შეისწავლიან რაიმე პროფესიას ან იმუშავენ დაწესებულების გარეთ მდებარე სანარმოებში. 25 წლამდე ახალგაზრდები მხოლოდ დისციპლინის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში გადაჰყავთ პენიტენციურ დაწესებულებაში.



# საკონსტიტუციო სასამართლო

უნდა იცოდეთ, რომ გარდა საერთო სასამართლოებისა, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, საქართველოში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლს. სწორედ ეს სასამართლო ადგენს კანონების და სხვა სახელმწიფო აქტების ქვეყნის მთავარ კანონთან - კონსტიტუციასთან შესაბამისობას. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს.

თუ პიროვნება, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს, ჩათვლის, რომ მისი კონსტიტუციური უფლება დაირღვა, მაგალითად, რომელიმე მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, ან პარლამენტის მიერ მიღებული რომელიმე ანტიკონსტიტუციური კანონის გამო, მას უფლება აქვს,

მიმართოს სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს დარღვეული კონსტიტუციური უფლების აღდგენა.

მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი მხოლოდ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული და აღიარებული უფლებების დარღვევა შეიძლება გახდეს.



# არასრულწლოვანთა ადგიწმედლობითი დწნესებულება



თქვენ უკვე იცით, რომ არასრულწლოვანს, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, კანონით დადგენილი წესით გაასამართლებენ და ის დაკარგავს თავისუფლებას.



მას სპეციალურ დანახებულებებში, რომელსაც არასრულწლოვანთა აღზრდელობითი დანახებულება ჰქვია, მიუხედავად ყოფნისა.

არასრულწლოვანთა აღზრდელობითი დანახებულება



არასრულწლოვანთა ამფორდოლოგიით დაწესებულება 2002 წელს აშენდა. 2008 წელს ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და იგი ევროსტანდარტებს გაუთანაბრდა. დაწესებულებაში არის სავანანათლებლო საშუალო სკოლა.




არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სართო ეროვნულ გამოცდებში. აღზრდადლოვით დაწესებულებაში სხვადასხვა სახის ფსიქო-სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამები ფუნქციონირებს. დაწესებულებაში გაიხსნა მინაწერის სახელოსნო, სადაც მსჯავრდებულები ტიხრული მინაწერის ხელობას სწავლობენ. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სახეობების, კომპიუტარისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. სახელმწიფო ყოველთვის აქლავს შესაქმებლობას კანონდამრღვევს, რომ გამოსწორდეს და ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულ-უფლებიან წევრად.

არასრულწლოვანთა აღზრდადლოვითი დაწესებულება

# ბავშვებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები



საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. მოზარდთა უფლებები დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით - სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსებით, სამოქალაქო კოდექსით და ა.შ. მეტიც, საქართველო მიერთებულია ყველა იმ საერთაშორისო აქტს, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს.



# ქართული კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის. აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ევალებათ დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.

მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას არასრულწლოვანს აქვს დაცვის საკუთარი უფლება. არასრულწლოვანის უფლებებისა და ინტერესების დარღვევისას, მათ შორის მშობელთა (ერთ-ერთი) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულების, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი - სასამართლოს.

## “მოსწავლეთა ქცევის კოდექსი”

პირველი სამართლებრივი ნორმა, რომლის ცოდნაც მოსწავლისთვის სავალდებულოა “მოსწავლეთა ქცევის კოდექსია”. იგი განათლების სამინისტრომ 2007 წელს დაამტკიცა და მისი პატივისცემა ქვეყნის ნებისმიერი სკოლის, ნებისმიერი მოსწავლისთვის სავალდებულოა.

ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს: “სკოლის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, დაგვიანება, გაკვეთილის ჩაშლა, გაკვეთილის თვითნებური მიტოვება, მასწავლებლის, მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, პლაგიატიზმი, ვანდალიზმი - სკოლის ქონების შეგნებული დაზიანება, გაფუჭება, სკოლის ტერიტორიაზე ძალადობა, ქურდობა, იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერების ქონა, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება, ვაჭრობა - ამ გადაცდომებისთვის, მართალია, მოსწავლეს სასწავლებელში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არა, მაგრამ დისციპლინური სასჯელი დაეკისრება.

“მოსწავლეთა ქცევის კოდექსი” დამრღვევი მოსწავლეებისთვის დისციპლინური სასჯელის სახეებსაც აწესებს, ესენია: “სიტყვიერი შენიშვნა, საყვედური (წერილობითი ფორმით), სკოლისთვის

სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება (ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის სხვა ნაწილის მოვლა-პატრონობა), სასწავლო პროცესიდან დათხოვნა ერთიდან ხუთი დღის ვადით. ამ პერიოდში მოსწავლე ვალდებულია გამოცხადდეს სკოლაში სწავლის დაწყებისას, თუმცა, უდისციპლინო მოსწავლეს გაკვეთილის მაგივრად სპეციალურ ოთახში - ბიბლიოთეკაში მიუჩენენ ადგილს. სადამსჯელო სანქცია - საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა ხუთიდან 10 დღემდე გრძელდება და ითვალისწინებს როგორც გაკვეთილიდან გაძევებას, ასევე, ზარალის ანაზღაურების დაწესებას, სასკოლო კლუბებში, წრეებში, სკოლის მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის პრივილეგიის ჩამორთმევას.

“მოსწავლეთა ქცევის კოდექსთან” ერთად, საქართველოს სკოლებში არსებობს “ეთიკის კოდექსები”, “შიდა განაწესები” და სხვა დებულებები, რომელთა დაცვაც ასევე სავალდებულოა.

მოსწავლე და მისი მშობელი სასწავლებელში მისვლისას უნდა გაეცნონ სასკოლო წესებს, რათა მომავალში რაიმე სახის გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.



**საქართველო 1994 წელს გახდა გაერო-ს წევრი სახელმწიფო.** პარალელურად, ჩვენმა ქვეყანამ აღიარა გაერო-ს “ბავშვთა კონვენცია”, რომლის საფუძველზეც, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ დაიცავს კონვენციით გათვალისწინებულ ბავშვთა უფლებებს და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული ვითარებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, ჩვენი ქვეყანა მიერთებულია “ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა” და “ევროპის სოციალურ ქარტიას”. ამ ნორმატიულ აქტებში დასახელებული ბავშვთა უფლებების და თავისუფლებების დაცვა საქართველოსთვის სავალდებულოა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო-ს) გენერალურმა ასამბლეამ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული დოკუმენტი - “ბავშვთა კონვენცია” 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო, ხოლო ძალაში შევიდა 1990 წლის სექტემბერში. ბავშვთა უფლებების კონვენციამ ადამიანის უფლებათა დოკუმენტებს შორის ყველაზე ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. დოკუმენტი რატიფიცირებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ, ორი ქვეყნის - ამერიკისა და სომალის გარდა. კონვენცია ერთ დოკუმენტში აერთიანებს ადამიანის უფლებების სრულ სპექტრს, რომლებიც ბავშვებს ეხება - მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. გარდა ამისა, არსებობს მართლმსაჯულების განხორციელების გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები - “პეკინის წესები” და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები - “ერ-რიადის” წესები.





ბავშვთა და ბავშვთა უფლებები



ბავშვის უფლებათა კონვენცია



## ბავშვის უფლებათა კონვენცია

(შემოკლებული ვერსია)

### მუხლი 1

ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

### მუხლი 2

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

### მუხლი 3

ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

### მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და სხვა პირების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს.

### მუხლი 6

ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება.

### მუხლი 7

ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, უფლებამოსი-

ლია, იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

### მუხლი 8

ბავშვს აქვს თავისი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლება, მოქალაქეობის უფლების ჩათვლით.

### მუხლი 9

ბავშვს უფლება აქვს, არ დაშორდეს თავის მშობლებს, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლოს გადანიშნულებების თანახმად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

### მუხლი 12

ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს ეთმობა სათანადო ყურადღება.

### მუხლი 13

ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა.

### მუხლი 14

ბავშვს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება.

**მუხლი 15**

ბავშვს უფლება აქვს, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

**მუხლი 16**

ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

**მუხლი 17**

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას.

**მუხლი 18**

მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე.

**მუხლი 19**

მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებ

ბელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას იღებენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან.

**მუხლი 24**

ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. უპირატესი ყურადღება ეთმობა პირველადი სამედიცინო დახმარების განწევას.

**მუხლი 26**

ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით.

**მუხლი 27**

ყოველ ბავშვს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც



აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

### მუხლი 28

ბავშვს აქვს განათლების უფლება. ამ მიზნით აწესებენ უფასო და სავალდებულო დანაშაულებით განათლებას, ხელს უწყობენ როგორც ზოგად, ისე პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმის განვითარებას და უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას. სასკოლო დისციპლინის დაცვა უნდა ემყარებოდეს მეთოდებს, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემას.

### მუხლი 29

განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებისაკენ, ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ, თავისუფალ საზოგადოებაში ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, თანასწორობის სულისკვეთებით, გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

### მუხლი 30

ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი კულტურით.

### მუხლი 31

ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. მისი ასაკის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება. აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

### მუხლი 32

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრე-



ბოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

### მუხლი 33

ბავშვებს უფლება აქვთ, დაცულნი იყვნენ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან.

### მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ცდუნებისაგან, პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში, პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში გამოყენებისაგან.

### მუხლი 38

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვა და მოვლა-პატრონობა.

### მუხლი 40

ყოველ ბავშვს, რომელიც ეჭვმიტანილია კანონის დარღვევაში ან სისხლის სამართლის დანაშაულში, გარანტირებული აქვს: უდანაშაულო-

ბის პრეზუმფცია, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება, სამართლებრივი დახმარების მიღება დაცვის ან მისი მომზადების განხორციელებისას, ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების მიზნით მასზე ძალდატანების მოხდენისაგან.



# ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად

ევროსაბჭო ბავშვთა უფლებების აქტიური დამცველია. მასში განეწესა 46 ნაწილი სახელმწიფოს მთავარი პრინციპი: ევროპის მშენებლობა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად. ამისათვის ევროსაბჭოს შვიდი მთავარი დავიზი აქვს.



1. ბავშვები არ არიან პატარა ადამიანები პატარა უფლებებით;
2. ბავშვები დაუცველი არსებები არიან, მათ მეტი და არა ნაკლები დაცვა ესაჭიროებათ;
3. ყოველგვარი ძალადობა ბავშვების მიმართ გაუმართლებელია;
4. ბავშვების მიმართ ყოველგვარი ძალადობის თავიდან აცილება შესაძლებელია;
5. ბავშვების დაცვა მოითხოვს სტრატეგიულ მიდგომას;
6. ბავშვთა უფლებები გვეხება ყველას;
7. ბავშვთა უფლებები ევროპის განვითარების სანინდარია.

ევროპის საბჭო 1949 წელს დაარსდა, როგორც მშვიდობის სიმბოლო, რათა აეშენებინა ახალი ევროპა სამ ქირითად გურჯზე დაფუძნებით. ეს არის ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. ეს მანდატი გულისხმობს, რომ ევროპის საბჭოს ნებრმა ყველა სახელმწიფო უნდა ითანამშრომლოს და იკისროს ისეთი ევროპის მშენებლობის ვალდებულება, სადაც ბავშვები თავს უსაფრთხოდ, გადნიერად და საკუთარ სახლში იგრძნობენ.

# ქართული მართლმსაჯულების სასახლეები



საქართველოს  
უზენაესი  
სასამართლო



სასამართლოს  
ცენტრალური  
შესასვლელი

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მართლმსაჯულება საქართველოშიც სპეციალურად აშენებულ და შესაბამისად მოწყობილ შენობებში ხორციელდება. მათ შორის ორი ისტორიული ძეგლია - თბილისის უზენაესი სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობები, რომლებსაც საუკუნოვანი ისტორია აქვთ.



ისტორიული  
დარბაზი, სადაც  
ილიას მკვლელი  
გაასამართლეს

ქართული მართლმსაჯულების უმაღლესი და ბოლო ინსტანციის - უზენაესი სასამართლოს შენობა, მეცხრამეტე საუკუნის არქიტექტურული ძეგლია. ქუჩას, სადაც მართლმსაჯულების სასახლე მდებარეობს, თავდაპირველად არსენალის, შემდეგ კი, სასამართლოს ქუჩა ეწოდებოდა. დღეს ეს ქუჩა ძმები ზუბალაშვილების სახელობისაა.



ცისფერი  
ღარბაზი

პოლონელი არქიტექტორის ალექსანდრე შიმკევიჩის მიერ აგებული შენობა თავიდანვე უზენაესი სასამართლოსთვის იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ რენესანსულ-ბაროკოს სტილში აგებულ მართლმსაჯულების შენობას არქიტექტორმა ჯერის ფორმა მისცა.



სკულპტურული  
კომპოზიცია  
შავ-თეთრი  
სფერო

სასახლეები  
მართლმსაჯულების

მეცხრამეტე საუკუნეში სასამართლო პალატის მთელი სამომსახურეო შტატი სულ 39 კაცით განისაზღვრებოდა და აქედან 11 მოსამართლე იყო. 1921 წლის შემდეგ ბოლშევიკურმა რეჟიმმა თავისი კვალი უზენაესი სასამართლოს შენობასაც დაამჩნია. შენობაში თანდათან სხვადასხვა უწყების განთავსება დაიწყო. 1972 წელს უზენაესი სასამართლოს შენობიდან სხვადასხვა დანესებულების გაყვანა დაიწყო და 1973 წელს შენობა მთლიანად უზენაეს სასამართლოს დაუბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შენობის ინტერიერმა ცვლილება ბევრჯერ განიცადა, არ შეცვლილა ცენტრალურ შესასვლელში, ჭერში, თვალსაჩინო ადგილას არსებული ფერწერული გამოსახულება მართლმსაჯულების ქალღმერთის - თემიდასი, რომელიც მნახველს მიანიშნებს, რომ იგი მართლმსაჯულების სასახლეში იმყოფება.

შენობის მესამე სართულზე განთავსებულია სასამართლო დარბაზები, მათგან გამორჩეულია ისტორიული დარბაზი, სადაც გადაღებულია სასამართლო კადრები ცნობილი ფილმებიდან “მონანიება” და “დათა თუთაშხია”.

ამავე დარბაზში იმართებოდა საუკუნის მკვლელობის სასამართლო პროცესები. აქ გაასამართლეს ილია ჭავჭავაძის მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი.

მეოთხე სართულზე, ქართული მარმარილოთი მოპირკეთებულ ვესტიბიულში, ვარდისფერი სვეტების ცენტრში, თეთრ კვარცხლბეკზე მოთავსებული იყო ალექსანდრე II-ის სკულპტურული გამოსახულება, შემდეგ კი - ლენინის. მართლმსაჯულების სასახლის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1994 წელს დაიდგა სკულპტურული კომპოზიცია - შავ-თეთრი სფერო, რომელშიც სიმბოლურად აისახა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა. სფეროს შემოვლებული აქვს ოქროსფერი სარტყელი, რომელზეც ასომთავრულით ინკუსტრირებულია შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: “ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია”.

რაც შეეხება შენობას, სადაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას, მასაც, უზენაესი სასამართლოს მსგავსად, საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. იგი

ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, რიონის სანაპიროზე მდებარეობს. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებში “სამეფო ადგილად” მოიხსენიება.



ქუთაისის  
საგუბერნიო  
სასამართლოს  
სახელმწიფო  
სასახლის  
სივმოლო



ქუთაისის  
სააკადემიური  
სასამართლო

ქართული მართლმსაჯულების სასახლეები

1871 წელს კავკასიის რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II ესტუმრა. ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ საგუბერნიო შენობა ალდეგინათ და იმპერატორი იქ მიეღოთ. მეფის სტუმრობის შემდეგ კი შენობამ კვლავ დაკარგა თავისი ფუნქცია.

სამეფო სახლის ადგილას საგუბერნიო სასამართლოს აშენება მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გადაწყდა. ქუთაისის მცხოვრებთა მოთხოვნით,

ქალაქის საბჭომ და გამგეობამ მიიღეს გადაწყვეტილება, ქალაქის კუთვნილი, 40 ათას მანეთად ღირებული “სამეფო ადგილი” სასამართლო უწყებას გადასცემოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სასამართლოს მისი შესაძენი თანხა სრულად არ გააჩნდა. სასამართლოს ამჯერადაც მოსახლეობა დაეხმარა და დანაკლისი 10 ათასი მანეთი თავად შეავსო.

სასამართლოს შენობის მშენებლობა ინჟინერ



ქუთაისის  
სააპელაციო  
სასამართლოს  
ისტორიული  
დარბაზი

ფრიკის პროექტით 1898 წელს დაიწყო. “სამეფო ადგილზე” აშენდა ქვის კაპიტალური სამსართულიანი შენობა - “ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს სახელმწიფო სასახლე”, რომელიც მე-19 საუკუნის კლასიკური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასამართლო ხელისუფლებამ შენობა ისევ დაკარგა. სხვადასხვა დროს მასში განთავსებული იყო საერთო საცხოვრებელი, სამხედრო ჰოსპიტალი, ქარხანა და ბოლოს -

მუზეუმი. განადგურდა სასამართლო ინვენტარი, შენობამ დაკარგა პირვანდელი სახე.

სასამართლო ხელისუფლებამ შენობა მხოლოდ 1995 წელს დაიბრუნა. 1999 წლიდან კი აღნიშნულ შენობაში ქუთაისის საოლქო სასამართლო განთავსდა, სადაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, გრანდიოზული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა.

საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ, 2005 წლიდან დღემდე, შენობაში განთავსებულია სააპელაციო სასამართლო.

# დანაშაული და



ყველამ, მათ შორის, არასრულწლოვნებმაც უნდა იზრუნონ საზოგადოების უსაფრთხო და მოწესრიგებულ თანაარსებობაზე, დაიცვან შესაბამისი წესები და ყურადღება მიაქციონ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ აკრძალვებს.

დანაშაული არის ქმედება, რომლის ჩადენითაც ირღვევა ქვეყანაში მოქმედი კანონი. სამართლებრივი ნორმების დარღვევა კი დასჯას ექვემდებარება. ძალადობა, ქურდობა, ყაჩაღობა, ხულიგნობა, იარაღის (მათ შორის დანის) და ასაფეთქებელი ნივთიერების შექენა-შენახვა-ტარება, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება-შენახვა-გასაღება, სხეულის დაზიანება, მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, გაუპატიურება და ა. შ. - ეს იმ დანაშაულთა მცირე ჩამონათვალია, რომელიც ქართული კანონმდებლობით დასჯადია. კანონს, სადაც წერია, რა ითვლება დანაშაულად, ეწოდება სისხლის სამართლის კოდექსი.



# სასჯელი



სასჯელის ზომა განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. მას ასევე უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი დატვირთვა და ისე იმოქმედოს დამნაშავეზე, რომ მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული. გათავისუფლების შემდეგ კი უნდა მოხდეს მისი ხელახალი ინტეგრირება საზოგადოებაში. გარდა ამისა, სასჯელმა საზოგადოება უნდა დაიცვას დამნაშავეობისგან. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ სასჯელის მიზანი არ არის დანაშაულის ჩადენისთვის სამაგიეროს გადახდა და ამ მიზნით მოზარდის ან ზრდასრული დამნაშავეისთვის რაიმე სახის ტანჯვის მიყენება. სახელმწიფო ყოველთვის აძლევს შესაძლებლობას კანონდამრღვევს, რომ გამოსწორდეს და ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

# შანსი არასრულწლოვნებს



საქართველოში "არასრულწლოვანთა სასჯელი-საგან განრიდების" პროგრამა ამოქმედდა, რომელიც მოზარდს პატიმრობისგან იცავს. უფრო კონკრეტულად კი, პროკურორს საშუალება აქვს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, განარიდოს სასჯელს. პროკურორი არ დაიწყებს ან შეწყვეტს არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და "განრიდების პროგრამაში" არ მიუღია მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში პროკურორს შეუძლია, იზრუნოს არასრულწლოვანის სოციალურ დატვირთვაზე და მხარეებთან ერთად განსაზღვროს, სასჯელის ნაცვლად მოზარდი დაზარალებულის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაიმე სახის შრომას გასწევს თუ საგანმანათლებლო ან სპორტული საქმიანობით დაკავდება. როგორც არასრულწლოვანი, ასევე მისი ოჯახი მზად უნდა იყოს, თუნდაც სიმბოლურად აანაზღაუროს ზიანი. არასრულწლოვანი ვალდებულია, დაზარალებულს აუხსნას, რატომ ჩაიდინა დანაშაული და რაც მთავარია, მან სიტყვიერად ან წერილობით ბოდიში უნდა მოუხადოს დაზარალებულს. მაგალითად, თუ არასრულწლოვანმა მოხუცს მოპარა ტელეფონი, გარდა იმისა, რომ ნივთი უნდა დაუბრუნოს პატრონს, შესაძლოა, მას დაევალოს 3 კვირის განმავლობაში, სკოლაში წასვლამდე, მოხუცისთვის პურის მიტანა, დიდთოვლობის დროს გზის განმენდა, ან სხვა მსგავსი სახის სამუშაოს შესრულება.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორი სოციალურ მუშაკს გადაუგზავნის, რომელიც მოკლე ბიოსოციალურ ტესტს ჩატარებს არასრულწლოვანს და ტესტის შედეგებით დადგინდება, თუ როგორი მიმართულებით უნდა იმუშაონ არასრულწლოვანთან.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, პროკურორი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს. ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობა სოციალურ მუშაკს ეკისრება. თუ არასრულწლოვანი ხელშეკრულებას დაარღვევს, პროკურორს შეუძლია მის მიმართ დევნა დაიწყოს ან განაახლოს.

# "უფროსი მეგობარი"



იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაერო-ს ასოციაციასთან ერთად დაიწყო ახალი პროგრამის - "ჩემი უფროსი მეგობარი" განხორციელება. პროგრამა მიზნად ისახავს კანონთან პრობლემების მქონე არასრულწლოვნებზე ზრუნვას.

პროგრამის მიზანია, უფროსი მეგობრის დახმარებით, არასრულწლოვანს გამოუმუშავდეს საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, აუმაღლდეს უფროსებისადმი ნდობა, გახდეს ბეჯითი, კონტაქტური, უფროსი მეგობრისგან ისწავლოს როგორ მიაღწიოს წარმატებებს.

მეგობარს მოზარდი სურვილის მიხედვით ირჩევს და კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, უფროს მეგობარსა და არასრულწლოვანს შორის ურთიერთობა ერთი წელი გრძელდება.

უფროსი მეგობრის პროგრამაში მონაწილეობის მსურველები შემდეგ პროცედურებს გადიან:

პროგრამის ინიციატორები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის, მისი ოჯახის წევრებისა და ზრდასრული მონაწილის პირველ შეხვედრას და აცნობენ პროგრამის წესებს. ამ შეხვედრაზე მხარეები სურვილისამებრ ხელს აწერენ ხელშეკრულებას.

უფროსი მეგობრისა და მოზარდის ურთიერთობა, მათთვის სასურველ და კომფორტულ პირობებში მიმდინარეობს - მათ შეუძლიათ ერთად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სპორტულ თუ გასართობ ღონისძიებაში. უფროსი მეგობარი ყოველთვიურად გარკვეულ დროს უთმობს თავის უმცროს მეგობარს, ეხმარება მოზარდს გაკვეთილების მომზადებაში, აძლევს რჩევა-დარიგებებს. თვის ბოლოს ორივე მეგობარი ავსებს ანგარიშს და უგზავნის პროგრამის თანამშრომელს, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანისა და მისი უფროსი მეგობრის ურთიერთობას.

# ჭარბმა მოსამართლესთან ურთიერთობისთვის

თქვენ უკვე გაეცანით სასამართლოში ქცევის წესებს, აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ კანონმდებლობით, აკრძალულია მოსამართლეებთან მხარეების (თქვენ უკვე იცით, ვინ არიან მხარეები) შეხვედრა. მოსამართლე მხარეებს უნდა შეხვდეს მხოლოდ სასამართლო პროცესზე.

საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან, მასზე გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, პროცესის მონაწილეებისთვის მოსამართლესთან ურთიერთობა აკრძალულია.


აკრძალული ფორმით მოსამართლესთან ურთიერთობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს ჯარიმას და სხვა სახის სანქციებს.

სასამართლოებში არსებობს მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა, რომელიც იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომებზე

ზე განსახილველად. მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირება ხდება სასამართლოს შენობის პირველ სართულზე განთავსებული მოქალაქეთა მისაღებიდან, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სასამართლოს თანამშრომელთა საკონტაქტო ინფორმაციები, როგორც შიდა, ისე ქალაქის ნომრები.



## 12 მსაჯული და მოსამართლე




ნაფიც მსაჯულთა შესახებ თქვენ ალბათ მხატვრული ფილმებიდან, ან წიგნებიდან გსმენიათ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოშიც ამოქმედდა და ამიტომ, სასურველია, გქონდეთ ინფორმაცია მის შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართვე-

ლოში წმინდა კლასიკური, ამერიკულ-ინგლისური მოდელით ამუშავდა. ამ მოდელის პრინციპი ასეთია - 12-ს (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის) პლუს ერთი (მოსამართლე). უფრო მარტივად კი, საქმის მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი ჟიური გამოაცხადებს ვერდიქტს - დამნაშავეა თუ უდანაშაულო ადამიანი, რომლის საფუძველზეც, მოსამართლე კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიტანს განაჩენს.

ნაფიც მსაჯულად შეირჩევა პირი, თუ იგი შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში, ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი და არ არის უნარშეზღუდული.

ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება პირი, თუ ის ნასამართლევაა. ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს ასევე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, პროკურატურის, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება სასულიერო პირი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და იურისტი, ასევე, ის პირი, ვინც ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.



# როგორ იქმნებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

თქვენთვის საინტერესო იქნება ისიც შეიტყობთ, როგორ ჩამოყალიბდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს ინსტიტუტი თავდაპირველად შუა საუკუნეებში ინგლისში შეიქმნა. მაშინ მსაჯულები მხოლოდ დანაშაულის შემსწრე ადამიანები ხდებოდნენ. XV საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა ჟიური უკვე მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა და ნაფიცი მსაჯული შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი სრულფასოვანი ადამიანი.

დიდი ბრიტანეთის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ინსტიტუტი დამკვიდრდა აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კი - საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და რუსეთში.

საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტის დამსახურებით, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ინსტიტუტი სახალხო ხელისუფლების სიმბოლო გახდა. იმ ქვეყნებში, სადაც ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს ტრადიცია საფრანგეთიდან გავრცელდა, მსაჯულები თავდაპირველად, მხოლოდ ისეთი ტიპის საქმის

განხილვაში მონაწილეობდნენ, როგორცაა პოლიტიკური დანაშაული და სახელმწიფო ღალატი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეისთვის წარმატებულად ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს.



# ნაფიც ვეჩილთა საბჭოს მეორე გამართლებული მუსიკოსი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამჟამინდელი, თანამედროვე მოდელისგან განსხვავებული სტილით - ნაფიც ვეჩილთა საბჭოს სტატუსით 1919-21 წლებში საქართველოშიც მოქმედებდა. იმდროინდელ გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” რუბრიკა “სასამართლოში” სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაციები ნაფიც მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის თაობაზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი სხდომის თაობაზე გაზეთი იუწყება: “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი სხდომა 1919 წლის 8 მარტს გაიმართა. განსახილველი ჰქონდათ ორი საქმე ქურდობის შესახებ. 33 ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს შორის 14 ქალია, 25 ქართველი, 5 სომეხი და 3 რუსი. მსაჯულთა შორის თანახმად კანონისა სხდომაზე 12 მსაჯულს ირჩევენ, თორმეტიდან კი ერთს მამასახლისად,” - წერდა გაზეთი.

ერთ-ერთი საქმე, რომელიც 1920 წლის 3 მარტს სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მონაწი-

ლეობით განიხილა, იყო სახელმწიფო თეატრის დირიჟორ სამუელ სტოლერმანის საქმე.

სამუელ სტოლერმანს ბრალად მეუღლის, ალექსანდრას მკვლელობა ედებოდა.

“მარტის 3-ს საგანგებო სასამართლოში დაიწყო განხილვა სტოლერმანის საქმისა, რომელსაც ბრალი ედება ცოლის მკვლელობაში. საქმის ვითარება შემდეგი იყო: იანვრის 15-ს 1920 წელს დილით, სახელმწიფო თეატრის დირიჟორმა სამუელ ალექ-



სანდრეს ძე სტოლერმანმა თავის ბინაზე, სასამართლოს ქუჩაზე, ორი გასროლით მოჰკლა ცოლი ალექსანდრა ფედოტის ასული, - 1920 წელს რუბრიკაში “სასამართლო” “საქართველოს რესპუბლიკამ” სტოლერმანისთვის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი გამოაქვეყნა.

“ორი წლის წინ სტოლერმანმა სახელმწიფო თეატრში პირველი დირიჟორის ადგილი დაიჭირა. ეს იმ ხანებში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. სტოლერმანი დიდი ყურადღებით ექცეოდა პირველ ქართულ ოპერას “აბესალომ და ეთერი”, ბევრი იშრომა მასზე, მაგრამ უფრო ბევრი შესწირა დოლიძის ქართულ კომიკურ ოპერა “ქეთო და კოტეს” შემუშავებას. მას უნდა ედირიჟორა “აბესალომ და ეთერისთვის”, მაგრამ ცოლი ამას წინ აღუდგა, მას სძულდა ქართული მუსიკა, უკრძალავდა ქმარს ხელში “აბესალომ და ეთერი” აელო და ამ ოპერას “ვირის ოპერას” უწოდებდა. ერთხელ მან ქმარს განუცხადა “თუ აბესალომ და ეთერის” პარტიტურას თავიდან არ ამოიგდებ, მე დაგიხვებ”. ამაზე სტოლერმანი დაემუქრა: “შენ თუ დამიხვე, მე მოგკლავ”. მან გადაწყვიტა ბოლო მოელო უბედური ცხოვრებისთვის - ან თავი მოეკლა ან ცოლი. ამ ფიქრებით ტანგაუხდელმა ჩაიძინა. დილით გაიღვიძა თუ არა გადაწყვიტა “აბესალომ და ეთერის” პარტიტურა გაველო. გახსნა პარტიტურა, რომელშიც რამდენიმე

ფურცელი ამოხეული იყო, ამ გარემოებამ იმდენად ააღელვა, რომ მყისვე ორჯერ ესროლა ცოლს და მოკლა. შემდეგ გავიდა იმ ოთახში, სადაც ღამე გაათია და იქ იყო სანამ მერძვე ქალის კაკუნმა არ გამოიყვანა სრული აპათიდან. რუსთაველის ქუჩაზე ის შეხვდა “აბესალომ და ეთერის” ავტორს ზ. ფალიაშვილს და მას უამბო მომხდარი,” - ასეა მოთხრობილი სტოლერმანის სასამართლო პროცესზე გამოქვეყნებული მასალები.

ნაფიც მსაჯულთა საბჭომ სტოლერმანის მიერ ჩადენილი დანაშაული განიხილა, როგორც განზრახ მკვლელობა, რის გამოც ის უვადო თავისუფლების აღკვეთით უნდა დასჯილიყო, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა საბჭომ ის გაამართლა. გაითვალისწინა სტოლერმანის მდიდარი მუსიკალური ბუნება, ღვანლი და დამსახურება იმდროინდელი საქართველოს წინაშე, მისი მძიმე ცხოვრება და ის ტირანია, რომელშიც მას უწევდა ყოველდღიურად მოღვაწეობა და რის გამოც, ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა და რამაც მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე.

“სტოლერმანის მიერ ჩადენილი მკვლელობა განხილულია, როგორც განზრახ მოფიქრებული და ბრალდება აქვს, დებ. 1 ნაწ. 1451 სტ. რომლის ძალითაც ის უვადო კატორღით უნდა დასჯილიყო, მაგრამ სასამართლომ ის გაამართლა,” - წერდა გაზეთი.

# ევსტოპის



# ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

თქვენთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნაც, რომ გარდა ქართული მართლმსაჯულებისა, საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა შესაძლებელია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, ევროპის სასამართლო დღეს მოქმედი მოდელით 1998 წლის 1 ნოემბერს ჩამოყალიბდა. სასამართლოს შენობა - ადამიანის უფლებათა სასახლე მდებარეობს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, სადაც თავად ევროსაბჭოს შტაბბინაა.

მდებარეობის გამო მას სტრასბურგის სასამართლოსაც უწოდებენ.

სტრასბურგის სასამართლო განიხილავს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან (საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა) შესულ განაცხადებს.

სასამართლოს დანიშნულებაა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ევროსაბჭოს კონვენციის ნორმების შესრულებაზე კონტროლი.

ევროპის სასამართლოში განაცხადის გაგზავნა შეუძლიათ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, ფიზიკურ პირებს და არასახელისუფლებო

სექტორის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, შესაძლებელია, ერთ ქვეყანას კონვენციის ნორმების დარღვევის გამო, სტრასბურგში მეორე ქვეყანამაც უჩივლოს.

სტრასბურგის სასამართლოში ათასობით სარჩელი შედის, ძირითადად, მოქალაქეებისგან, რომელთა უფლებები მათსავე ქვეყანაში დაირღვა.

ევროპის სასამართლო არ წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს და მის უფლებამოსილებაში არ შედის, გააუქმოს ან შეცვალოს ქვეყნის შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებები ან ადგილობრივი კანონები. სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ევროკონვენციის მუხლების დარღვევას მის წევრ ქვეყანაში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ადგენს ასევე ადამიანისთვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნისთვის. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას მეთვალყურეობას უწევს მინისტრთა კომიტეტი, რო-



მელიც არის ევროპის საბჭოს აღმასრულებელი ორგანო.

მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, განმცხადებელს არ ეკისრება რაიმე სახის ზომების მიღება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ავტომატურად გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს. საბოლოო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს 3 თვის ვადაში. გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, ქვეყნის, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სასამართ-

ლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი კვირის ვადაში გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც ეგზავნება სააღსრულებო ბიუროს. განმცხადებელი, რომლის სასარგებლოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, უნდა გამოცხადდეს სააღსრულებო ბიუროში, წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რის შემდეგაც სასამართლოს აღმასრულებელი გადასცემს მას შესაბამის დოკუმენტს, სადაც მითითებული იქნება იმ თანხის ოდენობა, რომელიც მან უნდა მიიღოს. შესაბამისი დოკუმენტის ბანკში წარდგენით, განმცხადებელი მიიღებს ევროპის სასამართლოს მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხას.

სტრასბურგის სასამართლოში საქმის განხილვას საშუალოდ 4-5 წელი სჭირდება, ზოგიერთ საქმეს კი - უფრო ხანგრძლივი დროც. სასამართლოს ჩვეულებრივი პროცედურის მიხედვით, საქმეები იმ რიგით განიხილება, რომლითაც შედის სასამართლოში. სასამართლომ, შესაძლოა, პრიორიტეტი მიანიჭოს გარკვეულ საქმეებს და დაჩქარებულ ვადებში განიხილოს. თუ დაჩქარებას განმცხადებელი მოითხოვს, საჭიროა სასამართლოსთვის მიზეზების სრულად დასახელება.



ს ა რ ჩ ე ვ ი



ქართული სამართლის ისტორია ..... 8-11

საუკუნეების წინათ “დანესებული სამართალი” ..... 12-15

დანაშაულის და სასჯელის ისტორია საქართველოში ..... 16-18

თანამედროვე ქართული სასამართლო ..... 19-26

სასამართლოს ატრიბუტიკა ..... 27-29

სასამართლო პროცესის მონაწილეები ..... 30-34

მტკიცებულება ..... 35

სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პროცესები 36-37

სასამართლოში ქცევის წესები ..... 38

მანდატური ..... 39

სპიკერი მოსამართლე ..... 40

კანონმდებლობა ..... 41

არასრულწლოვანი დამნაშავეები და კანონი ..... 42-43

მსუბუქი სანქცია ..... 44-45

დამძიმებული სასჯელი ..... 46-47

დაკარგული თავისუფლება ..... 48-49

არასრულწლოვანთა სასამართლო ..... 50-51

არასრულწლოვანთა სასამართლოები ევროკავშირის ქვეყნებში ..... 52-56

საკონსტიტუციო სასამართლო ..... 57

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დანესებულება ..... 58-61

ბავშვებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები ..... 62-63

მოსწავლეთა ქცევის კოდექსი ..... 64

გაერო-ს “ბავშვთა უფლებების კონვენცია” ..... 65-70

ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად ..... 71

ქართული მართლმსაჯულების სასახლეები ..... 72-79

დანაშაული და სასჯელი ..... 80-81

შანსი არასრულწლოვნებს ..... 82

“უფროსი მეგობარი” ..... 83

ჯარიმა მოსამართლესთან ურთიერთობისთვის ..... 84

12 მსაჯული და მოსამართლე ..... 85-86

როგორ იქმნებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ..... 87

ნაფიც ვეჟილთა საბჭოს მიერ გამართლებული მუსიკოსი ..... 88-89

ევროპის სასამართლო ..... 90-91





გაეროს განვითარების პროგრამა UNDP არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო განვითარების ქსელი, რომლის საქმიანობამაც მსოფლიოს 166 ქვეყანაში მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო ბიზნესის ნდობა დაიმსახურა. UNDP-ის მეშვეობით მიღებული ცოდნა, გამოცდილება და რესურსები ადამიანებს უკეთესი ცხოვრების საშუალებას აძლევს. საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამა 1993 წლიდან მუშაობს.

The United Nations Development Programme is the UN's global development network to help people meet their development needs and build a better life. UNDP is present in 166 countries, working as a trusted partner with governments, civil society and the private sector to help them build their own solutions to global and national development challenges. UNDP established its presence in Georgia in 1993.